ხელშეკრულება №12

ქ.თბილისი 10.03.2017

ერთი მხრივ შპს „ტელექს" ს/კ 404974863 (შემდგომში - ,,მიმწოდებელი'') დირექტორის მოადგილის მაია ჭუმბურიძის სახით და მეორე მხრივ შუახევის კულტურის ცენტრის (შემდგომში-შემსყიდველი) მისი დირექტორის **ვახტანგ ბერიძის** სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ,წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ბიუჯეტის შემოსავლებით, წიგნების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია: წიგნები ბიბლიოთეკისათვის

2.2. კლასიფიკატორი: CPV 22110000

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 230,00 ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია საქართველო, ბათუმი, აეროპორტის დასახლება, ქეთევან წამებულის ქ, შენობა: 12 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიწოდებაც.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

71.1. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან:

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებული:

7.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5(ხუთი) სამუშაო დღისა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით.

8.2. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლბით.

8.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეების მიერ მის შეწყვეტამდე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავები გადაწყვეტილ უნდა იქნეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

112. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და გადაეცა მხარეებს.

12.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი *შუახევის კულტურის ცენტრი*

მის: საქართველო, ბათუმი, აეროპორტის დასახლება, ქეთევან წამებულის ქ, შენობა: 12

ს/კ 247865252

დირექტორი:

ვახტანგ ბერიძე

მიმწოდებელი: შპს ტელექს

მის:თბილისი, ც.დადიანის № 7

ს/კ: 404974863

ტელ: 2159191

საქართველოს ბანკი

ა/ა **GE49BG0000000297157100**

დირექტორის მოადგილე :

მაია ჯუმბურიძე